საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000091649822623

№ 01-756-R **18 / დეკემბერი / 2023 წ.**

ბრძანება

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოში დეკანის არჩევნების პროცედურის უზრუნველყოფის მიზნით საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52–ე მუხლის პირველი და მე–2 ნაწილების, 53–ე მუხლის პირველი და მე–3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 55–ე მუხლის მე–2 ნაწილის, 56–ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, ქვეპუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე–14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“ და „ო“ ქვეპუნქტების, მე-9 და მე-15 პუნქტების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 06 სექტემბრის #1 და 2022 წლის 05 სექტემბრის #37/2022 დადგენილებებით დამტკიცებული „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურების“ მე-2 მუხლისა და კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის N 13, 20.11.2023 წ. საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოში დეკანის არჩევნების პროცედურის უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცდეს საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **თამარ ინაშვილი** - კონსერვატორიის სასწავლო დეპარტამენტის სპეციალისტი - კომისიის წევრი;

ბ) **თეონა თაყაიშვილი** - კონსერვატორიის იურისტი, კომისიის წევრი;

გ) **მარიამ ელიზბარაშვილი** - კონსერვატორიის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სპეციალისტი - კომისიის წევრი.

2. დაევალოს საარჩევნო კომისიას სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანის არჩევნების მოქმედ კანონმდებლობასთან, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 06 სექტემბრის N01 და 2022 წლის 05 სექტემბრის #37/2022 დადგენილებებით დამტკიცებულ „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურებთან“ და კონსერვატორიის სათანადო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობაში ჩატარება.

3. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tsc.edu.ge.

4. ბრძანების შესასრულებლად გადაცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირთათვის დაევალოს კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურს.

5. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

6. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №64).

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი შავერზაშვილი